| | |
|---|---|
| სკოლის დასახელება | სსიპ ქალაქ თბილისის N67 საჯარო სკოლა |
| მასწავლებელი | ნინო რუხაძე |
| ნაწყვეტი წიგნიდან | ძმები ლომგულები ( ასტრიდ ლინდგრენი) |
| სწავლების საფეხური/კლასი | დაწყებითი V – VI კლასი |
| მისაღწევი შედეგები | 1) მოსწავლე განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათ საქციელს;<br>2) გამოაქვს დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ, ცდილობს ნათქვამის დასაბუთებას ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით;<br>3) მსჯელობს მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ და გამოხატავს საკუთარ პოზიციას;<br>4) აფასებს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებს სხვადასხვა პერსონაჟის პოზიიციდან;<br>5) ქმნის წაკითხული ტექსტის ილუტრაციას. ხსნის, რა კავშირშია მის მიერ შექმნილი ილუსტრაცია ტექსტთან ან მის ცალკეულ ეპიზოდთან;<br>6) ქმნის ელექტრონულ რესურსს ანიმაციური პროგრამის საშუალებით (პროგრამა - scratch.mit.edu).<br>7) მხატვრული ტექსტის წაკითხვით გამოწვეული ემოციის გადმოსაცემად ან უკეთ შესაცნობად სტუმრობს ისეთ დაწესებულებას, სადაც სხვადასხვა სენით დაავადებული ბავშვები იბრძვიან სიცოცხლისთვის. აკეთებს დასკვნას, ადარებს წაკითხულს და ნანახს. |
| წინასწარი ცოდნა | 1) წაკითხულ ტექსტში ძირიტადი იდეის გამოკვეთა, 2) გაკვეთილის თემის შესაბამისი ლექსიკა. |
| აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო) | 1. კითხულობს ტექსტს (I, II გაკვეთილი)<br>2. ქმნის წაკითხული ტექსტის ილუტრაციას (III გაკვეთილი)<br>3. აწყობს/ქმნის ელექტრონულ რესურსს (IV, V, VI გაკვეთილი)<br>4. სტუმრობს დაწესებულებას/ კლინიკას, სადაც სხვადასხვა სენით დაავადებული ბავშვები არიან (VII, VIII გაკვეთილი) |
| აქტივობა 1 | აქტივობის აღწერა \| აქტივობის მიზანი<br>აქტივობის მიზანი:ტექსტიდან საკვანძო საკითხების გამოყოფა; მსჯელობის უნარის განვიტარება<br>აქტივობის აღწერა: მოსწავლე/ მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს წინასწარ განაწილებული როლების მიხედვით, შესაბამისი ინტონაციით, გამოყოფენ საკვანძო , მათი აზრით, მნიშვნელოვან სიტყვებს და იწყებენ ფიქრს, მსჯელობას, ვარაუდების გამოთქმას. |
| აქტივობა 2 | აქტივობის აღწერა \| აქტივობის მიზანი<br>აქტივობის მიზანი: ემოციის გადმოცემა ილუსტრაციის საშუალებით.<br>აქტივობის აღწერა: წაკითხული ტექსტის მიხედვით მოსწავლე ქმნის ილუსტრაციას. |

| | |
|---|---|
| აქტივობა 3 | აქტივობის აღწერა / აქტივობის მიზანი<br>აქტივობის მიზანი: მოთხრობის კონკრეტული ეპიზოდის მიხედვით ელ. რესურსის შექმნა.<br>აქტივობის აღწერა: მოსწავლე/ მოსწავლეები მუშაობენ პროგრამა ,,scratch"- ში და ცდილობენ, გააცოცხლონ პერსონაჟები, ცალკეული ეპიზოდები - ანიმაციების, ეფექტების საშუალებით. აკეთებენ პრეზენტაციას. |
| აქტივობა 4 | აქტივობის მიზანი: ემპათიის უნარის გაღვივება/ჩამოყალიბება<br>აქტივობის აღწერა: მოსწავლე/ მოსწავლეები სტუმრობენ დაწესებულებას/კლინიკას, სადაც სხვადასხვა სენით დაავადებული ბავშვები მკურნალობენ, ეცნობიან მათი დღის განრიგს, ესაუბრებიან მათ; შემდეგ მსჯელობენ, გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებას და ემოციას ნანახის შესახებ. |